

სარეცხი მანქანებისა და წინდების შესახებ

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ უყვართ სარეცხ მანქანებს წინდების გაქრობა. თითქმის არ არსებობს მსოფლიოში დიასახლისი, რომ არ იცნობდეს ამ პრობლემას. რასაკვირველია, ის, რაც დიასახლისის თვალთახედვით პრობლემა არის, სარეცხი მანქანისათვის მხოლოდ სასიამოვნო საქმიანობაა. ყველამ იცის, რომ სარეცხ მანქანაში გასარეცხად ჩადებული ათი წყვილი წინდიდან, ორი-სამი ცალი ყოველთვის ქრება. წინდები არასოდეს ქრება წყვილად: სარეცხი მანქანები ყოველთვის ცალ წინდას ითვისებენ და თითქმის არასოდეს, - წყვილს. თუმცადა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წყვილი წინდის გაქრობა უფრო რთული შესამჩნევია, ვიდრე ცალისა. გარეცხვის შემდეგ ცალ-ცალი წინდის დახაკლისი ყოველთვის უფრო გხვდება თვალში კაცს, ვიდრე წყვილისა.

რასაკვირველია, დიასახლისებსაც და მეცნიერებსაც დიდი ხანია აინტერესებთ ეს ფენომენი. საუბარია საერთოდ, სარეცხი მანქანების მიერ წინდების სიყვარულზე და არა იმაზე, რომ მხოლოდ ცალი წინდა იკარგება. სარეცხი მანქანის გამოგონების დღიდანვე იქნა შემჩნეული, რომ წინდები ქრება. თავიდან მიიჩნეოდა, რომ აქ, პრობლემა დიასახლისის მიერ წინდების დაუდევარი დათვლა იყო. მოგვიანებით, როდესაც ფაქტები მომრავლდა და მეცნიერებას მათზე თვალის დახუჭვა აღარ შეეძლო, მეცნიერთა ერთი რიგი შეუდგა ფენომენის საფუძვლიან შესწავლას. ექსპერიმენტები ჩატარდა როგორც ლაბორატორიულ, ისევე საველე პირობებში. მართალია, ამ ექსპერიმენტებმა წინდების გაქრობის მიზეზზე ახალი ვერაფერი თქვა, მაგრამ მან მეტად მნიშვნელოვანი სტატისტიკური ანალიზი შემოგვთავაზა. კერძოდ, დადგინდა, რომ სარეცხი მანქანები ბამბისა და შალის წინდებს ამჯობინებენ სინთეტური და ნახევრად სინთეტური მასალებისაგან დამზადებულს: სინთეტური ძაფით მოქსოვილი წინდა საშუალოდ 32 პროტენტით უფრო ხშირად ქრება, ვიდრე შალისა. ეს მაჩვენებელი ვარიებს ქვეყნებისა და კონტინენტების მიხედვით. ასე, მაგალითად: ერთი და იგივე სარეცხ მანქანაში იაპონიაში უფრო ნაკლები სინთეტური წინდა ქრება, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო ევროპის ქვეყნებში, უფრო მეტი, ვიდრე ამ უკანასკნელში. სამწუხაროდ საქართველოს სტატისტიკა ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება, ჩვენში ამ დარგის კვლევის ჩამორჩენის გამო.

დადგენილ იქნა ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა ფირმის სარეცხი მანქანები სხვადასხვა წარმოების წინდას ამჯობინებენ. ევროპული წარმოების სარეცხი მანქანები მეტი „ხალისით“ აქრობენ ამერიკულ წინდებს, ამერიკული წარმოებისა, - იაპონურს და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისას (უპირველესად ჩინეთის ნაწარმს), ხოლო იაპონური სარეცხი მანქანები, მხოლოდ იაპონურ წინდებს ითვისებენ და მთლიანად უგულვებელყოფენ იმპორტულ ნაწარმს. განსხვავებაა ასევე მამაკაცისა და ქალის წინდის მიხედვით: მამაკაცის წინდა ორჯერ უფრო ხშირად იკარგება, ვიდრე ქალისა. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა ქალის „ნიფხავ-წინდის“ (ე.წ. კალგოტის) გამოგონების შემდეგ. საქმე იმაშია, რომ ამ შემთხვევაში წინდები შეერთებულია ნიფხავის მეშვეობით და სარეცხი მანქანისათვის მათი განცალკევება შეუძლებელი ხდება. ამ გამოგონებას ეტაპობრივი მნიშვნელობა ჰქონდა დიასახლისთა და სარეცხ მანქანათა მრავალწლიან დაპირისპირებაში: გადაბმული წინდის იდეა მამაკაცის წინდაზეც გავრცელდა. ნორვეგიაში გამოიგონეს მოკლე ელვა შესაკრავით დაკავშირებული წინდები. შესაკრავი იხსნება ხმარებისას და იკვრება გასარეცხად ჩადების წინ. რასაკვირველია, ელვა შესაკრავი წინდის ყელზე გარკვეულ უხერხულობას იწვევს, მაგრამ სამაგიეროდ წინდა აღარ იკარგება. ასევე გამოიგონეს გარეცხვის წინ წინდების შეკვრა „ღიღ-ღიღაკით“ (ჩვენში კნოპკასაც რომ ეტყვიან). სარეცხი მანქანებისათვის ესეც გამანადგურებელი დარტყმა აღმოჩნდა. მიუხედავად ამ დაცვითი მექანიზმებისა, ბევრი დიასახლისი უგულვებელყოფს სიფრთხილეს სარეცხ მანქანასთან ურთიერთობისას და შეუკრავად, დაუწყვილებლად რეცხავს წინდებს. ამის გამო დაკარგული წინდების რიცხვი არა თუ მცირდება, არამედ ბოლო წლებში იზრდება კიდევ.

წინდების გაქრობაზე გარკვეული გავლენა აქვს ასევე წინდების დაბინძურების ხარისხს: სარეცხი მანქანები ამჯობინებენ ნაკლებად დაბინძურებულ წინდას, ვიდრე ძლიერად დაბინძურებულს. თითქმის არ ქრება წინდა, თუკი მას სუნი უდის.

მეცნიერები გვირჩევენ, სარეცხი მანქანის მიერ წინდის შთანთქმის თავიდან ასაცილებლად, ვიხმართ წინდა მანამ, სანამ მას სუნი არ გაუჩნდება. თუკი ყოველდღიურობას ჩავეძიებით და ადამიანთა თავმოყრის ადგილებში გავრცელებულ სუნს გავითვალისწინებთ, შევამჩნევთ, რომ ამ რჩევას ბევრი ადამიანი მისდევს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ წინდის სუნი გარკვეულ უხერხულობას იწვევს საზოგადოებაში.

სერიოზული მეცნიერული კამათი მიმდინარეობს ასევე წინდების გაქრობის მიზეზებზე. წარმოდგენელია, რომ სარეცხი მანქანა წინდას უბრალოდ ნთქავდეს. ბუნებაში ხომ არაფერი იკარგება. ის, რაც ერთი ადგილიდან ქრება, აუცილებლად უნდა გამოჩნდეს სადმე სხვაგან. ეს, თუნდაც კრედიტების და გრანტების მაგალითზე ხდება ნათელი, რომლებიც დაკარგვის შემდეგ აუცილებლად ამოყოფენ თავს რომელიმე კერძო მშენებლობაზე მარმარილოს მოპირკეთებისა, ან მერსედეს ბენცის გარაჟის სახით. ტყუილად მიიჩნევენ ზოგიერთი, რომ რაიმე უკვალოდ ქრება. გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩატარებული პირველი ექსპერიმენტები ეყრდნობოდა სამუშაო ჰიპოთეზას, რომ მანქანა არაფერ შუაშია და მეცნიერების თავგზაასაბნევეად, წინდებს თვით დიასახლისები, მათი მეუღლეები ან ბავშვები იღებენ სარეცხი კამერიდან. ეს ჰიპოთეზა არ დადასტურდა: საიდუმლო ტელეობიექტივითა და თბური სენსორების გამოყენებით ჩატარებულმა ცდებმა გააბათილა მოსაზრება ადამიანთა მონაწილეობის შესახებ წინდების დაკარგვაში.

შემდგომ ეტაპზე გაანალიზებულ იქნა წყლისა და სარეცხი ფხვნილის ქიმიური შემადგენლობა, რადგანაც მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ქიმიური ლაქორატორიის მეცნიერთა აზრით, რეცხვის პროცესში მონაწილე ნივთიერებათა გარკვეული ქიმიური კონსტელაცია, ელექტრული და თბური რეჟიმი სინთეტური ძაფის გადნობასა და წინდის აბსორბციას იწვევს. მართალია, ეს მოსაზრება გვთავაზობს სინთეტური და ნახევრად სინთეტური წინდების გაქრობის მეტნაკლებად დამაჯერებელ ახსნას, მაგრამ იგი ვერაფერს ამბობს შალის, ბამბის, აბრეშუმის და სხვა ბუნებრივი მასალებისაგან დამზადებული წინდების შესახებ. საბოლოო ჯამში ეს ჰიპოთეზაც უარყოფილ იქნა.

ცნობილია, რომ წინდა უკვალოდ ქრება: მისგან არც ძაფი, არც რეზინა და არც საღებავი რჩება. მეცნიერთა ერთ ნაწილს ეს ფაქტი აფიქრებინებს, რომ აქ გარკვეულწილად ტელეპორტაციასთან გვაქვს საქმე: კონსტრუქციული შეცდომის გამო სარეცხი მანქანები რიგ შემთხვევებში ტელეპორტაციის ფუნქციასაც ასრულებენ და წინდებს სხვა განზომილებაში გადაისვრიან. განსაკუთრებით რუსი მეცნიერები უჭერენ მხარს ამ მოსაზრებას: აქ ტელეპორტაციისა და საერთოდ, გაქრობის კარგად დასაბუთებული ტრადიცია არსებობს. ეს თეორია ვერ ხსნის ფაქტს, რომ წინდები არა მხოლოდ ცალკეულ სარეცხ მანქანებში, არამედ ნებისმიერი ფირმისა და ქვეყნის გამოშვებულ ნაწარმში ქრება. წარმოდგენელი და დაუშვებელია, რომ ათეულობით სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით ქარხნის ათეულობით კონსტრუქტორს ერთი და იგივე შეცდომა მოსდოდა.

უკანასკნელი 50 წლის მანძილზე უამრავი სხვა ჰიპოთეზაც შემოწმდა, თუმცა, ამ შემოწმებებს საკითხში სიცხადე არ შეუტანია. სარეცხი მანქანების მიერ წინდის გაქრობის პრობლემა კვლავ აქტუალურია.

ჩვენში, დიასახლისთა ერთმა ჯგუფმა უკვე დიდი ხანია გადაწყვიტა ამ საკითხზე მეცნიერული ექსპერიმენტის ჩატარება, რომელშიაც რამოდენიმე ათეულ სარეცხის მანქანასა და ასეულობით წყვილ წინდას უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ცდა ვერ შედგა ელექტროენერჯის არარეგულარული მიწოდების გამო.

სერიოზული მეცნიერული კვლევის პარალელურად არსებობს ასევე უამრავი მისტიკური და ზებუნებრივი ახსნა. ბოლო წამს გავრცელდა რელიგიური სექტების მიერ შეთხზული ჭორი, რომ წინდების გაქრობასთან სარეცხი მანქანა არაფერ შუაშია და რომ წინდებს ბნელი ძალები აქრობენ, რათა ამით კაცობრიობას აუწყონ აღსასრულის მოახლოება. მორმონთა რელიგიური სექტა იქამდეც მიდის, რომ ამტკიცებს, ურწმუნო ადამიანთა წინდები უფრო ხშირად ქრება, ვიდრე მორწმუნეთაო. მათ თითქოს ამ მოსაზრების დამადასტურებელი სტატისტიკაც უნდა ჰქონდეთ. რასაკვირველია, წინდების დაკარგვა რწმენასთან და სარწმუნოებასთან არ არის

კავშირში. სარეცხი მანქანისათვის სულ ერთია, ქრისტიანის წინდას რეცხავს, ათეისტისას თუ მუსლიმისას (ბუდისტური და ინდუისტური ტრადიციით წინდა ნაკლებად იხმარება, ამიტომაც ამ რელიგიის მიმდევართა დაკვირვების მაგალითებიც მწირია).

სარეცხ მანქანაში წინდების გაქრობის სფეროში თავიანთ სიტყვას ამბობენ ჩეხი ამო-ლოგები (ამოუცნობი მფრინავი ობიექტების სპეციალისტები). ისინი მიჩნევენ, რომ გამქრალი წინდები უცხოპლანეტელებს მიაქვთ მასალათა გამძლეობის სფეროში ექსპერიმენტის მიზნით, ხოლო სარეცხი მანქანების გარშემო ატეხილი აურზაური სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრიობის ყურადღების გადატანის მცდელობა სხვა მიმართულებით. არის თუ არა ამ თეორიაში სიმართლის მარცვალი, ამას დრო გვიჩვენებს.

ჩვენ დასაწყისში სიტყვები „სიყვარული“ და „სიამოვნება“ ვახსენეთ. რასაკვირველია, გადამეტებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ სარეცხ მანქანებს მართლაც უყვართ წინდები, ისევე, როგორც, ერთ ადამიანს უყვარს მეორე, როგორც უყვარს ცოლს ქმარი ან შვილს მამა. აქ სიყვარულის ცნება სულ სხვა მნიშვნელობით არის ნახმარი: შემჩნეულია, რომ წინდის გაქრობის შემდეგ სარეცხ მანქანას გარკვეული კმაყოფილება ეუფლება. მას თითქოს სიამოვნებს წინდის გაქრობა. ეს იმაში გამოიხატება, რომ მანქანა აბსოლუტურ შინაგან და გარეგან სიმშვიდეს ინარჩუნებს და არასოდეს რეაგირებს დიასახლისის მწვავე რეპლიკებზე. ამგვარი ქცევა გვაფიქრებინებს, რომ წინდა უბრალოდ კი არ უჩინარდება, არამედ იგი სარეცხი მანქანის მიერ წინასწარი განზრახვით ქრება. სარეცხი მანქანა, თუკი შეიძლება ასე ითქვას, ითვისებს წინდას, ისაკუთრებს მას. ამგვარ რაკურსში საკითხის დასმა, თავისთავად წარმოქმნის შენახვის პრობლემას: თუკი სარეცხი მანქანა წინდებს ისაკუთრებს, სად ინახავს იგი მათ? არსებობს სარეცხი მანქანები, რომელთაც ასობით წინდა ექნებათ მითვისებული. სად ინახავენ ისინი ამ წინდებს? წარმოუდგენელია იმის დაშვება, რომ საბინაო ფართობის სიმცირის პირობებში, სარეცხმა მანქანამ შეძლოს დიასახლისის ან ოჯახის სხვა წევრთა შეუმჩნეველად ასეულობით ცალი წინდის გადამალვა. არც სარეცხი მანქანის კორპუსი იძლევა წინდების გადამალვის საშუალებას. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ წინდები მართლაც ქრება და სარეცხი მანქანის მიერ არ ინახება. არ არის გამორიცხული, რომ სარეცხი მანქანა ინელებდეს წინდებს, ხოლო ნარჩენებს ნარეცხ წყალთან ერთად უშვებდეს გარეთ.

მოკლედ, ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი გაუგებარი და აუხსნელი საკითხი არსებობს. საქართველოს დაკარგულ წინდათა ასოციაცია, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გახდა დაკარგულ წინდათა მსოფლიო კავშირის წევრი (WLSU - World Lost Stockings Union) ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა ამ მიმართულებით. მიმდინარე წელს დაგეგმილია ერთი საერთაშორისო და ორი რეგიონალური კონფერენცია. გარდა ამისა, ასოციაცია აპირებს მიმართოს საქართველოს პარლამენტს დაკარგული წინდის დღის დაწესების მიზნით. დაგეგმილია სხვა სერიოზული ღონისძიებებიც. ასოციაციის სახელით გვინდა ვთხოვოთ დიასახლისებსა და ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერებს, გაგვიზიარონ გამოცდილება და მოგვაწოდონ თავიანთი მოსაზრება ამ უაღრესად საინტერესო ფენომენის გარშემო.

ლევან გველესიანი

საქართველოს სარეცხ მანქანაში დაკარგულ წინდათა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

2001 წლის მარტი